



საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45



GEORGIA, SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY, №45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ.ზუგდიდი

04.01.2019 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №1

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
2019 წლის 4 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის  
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 4 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგი:

1.1. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირების ძირითადი საშუალებების გასხვისებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის, ქონების საწყისი საფასურის, ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას ქირის საფასურის და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 7 დეკემბრის №94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

**მომხენებელი: მამუკა წოწერია-საკრებულოს თავმჯდომარე**

1.2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის განვითარების სტრატეგიისა და ახალგაზრდობის განვითარების სამოქმედო გეგმის (2019-2020 წწ.) დამტკიცების შესახებ

**მომხსენებელი: ეკატერინე კიფაია-საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ და გენდერულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე**

**თანამომხსენებელი: დავით შამათავა- მერიისახალგაზრდული და გენდერული თანასწორობის საქმეთა განყოფილების უფროსი**



1.3. სხვადასხვა საკითხები

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. ზუგდიდი რ. ლალიძის ქ. №12).

საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია